



MES 9 21 0000005411



16/01/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 18.12.2020

სხდომის დაწყების დრო: 16:10 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:05სთ

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა

საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - სხდომის თავმჯდომარე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

11. გაიანე სიმონია - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. ზურაბ გვიშიანი - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. რომეო გალდავა - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
14. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ნინო შიოშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	თორნიკე ბექაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა გრძელიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III, IV
2	თამარ გაგოშიძე		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო	I

			პროგრამის ხელმძღვანელი	
3	ნინო რუხაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	მანანა მელიქიშვილი		ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I
5	ლილი ხეჩუაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
6	თამარ ზარანდია		იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III, IV
7	გიორგი მახაროშვილი		იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	II, III, IV
8	დავით ბოსტოლანაშვილი		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV
9	მაია ივანიძე		პროფესორი	II, III, IV
10	მაია კოპალეიშვილი		პროფესორი	II, III, IV
11	ლელა ჯანაშვილი		ასოცირებული პროფესორი	II, III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონ ულ საშუალებით მონაწი ლეობის შესახებ	საკითხი
1	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
3	მკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
4	კონსტანტინე ებრაღიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ოკუპაციური თერაპიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ოკუპაციური თერაპიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ოკუპაციური თერაპიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ოკუპაციური თერაპია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 16 სექტემბერი, №11
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ოკუპაციური თერაპია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	თერაპია და რეაბილიტაცია 0915
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზირი, №11, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ირაკლი ბურდულმა და ირმა წერეთელმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ 2020 წლის 13 ნოემბერს განხორციელდა ონლაინ ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. მან წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ია ფანცულაია (წევრი); თეა ადამია (წევრი), ლანა ბოკუჩავა (წევრი). ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრაციასა და წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასებისა და განხორციელების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მათ ასევე ონლაინ რეჟიმში დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დღის ბოლოს კი ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია, რადგან თვითონ დარგი, ოკუპაციური თერაპია არის ახალი და შესაბამისად პროგრამა, რომელსაც ახორციელებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთადერთი და მას საქართველოში ალტერნატიული პროგრამა სხვა უნივერსიტეტში არ გააჩნია, არცერთი სხვა უნივერსიტეტი არ ახორციელებს ოკუპაციური თერაპევტების მოსამზადებელ პროგრამას, რაც ზრდის აღნიშნული პროგრამის მნიშვნელოვნებასა და მოთხოვნებსაც, შესაბამისად შეფასება გაკეთებულ იქნა აღნიშნული თვალსაზრისით, რომ პროგრამა უნდა გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისითა და იმ სპეციალისტების მომზადების მხრივ, რომელთა არსებობაც, ნამდვილად მნიშვნელოვანია, რადგან ოკუპაციური თერაპია ეხება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რაზე ზრუნვაც პანდემიის გამო ისე სჭირდება ნებისმიერი ერის საზოგადოებას, როგორც არასდროს.

ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკის სახით ნახა კოლეგიური შეფასება, რომელიც ჩატარდა ერთ წლის წინ, როგორც განმავითარებელი შეფასება, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროგრამული აკრედიტაციის სიმულაცია, მთელი რიგი გათვალისწინებული ჯგუფების შეხვედრით და მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული/ასახული იქნა პროგრამის განხორციელების პროცესში.

„ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

- პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების სრულყოფისათვის რეკომენდებულია სამედიცინო კურსებთან ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში;
3. სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა;
4. რეკომენდებულია პორტფოლიოს წარმოების სწავლება პროგრამის ადრეულ ეტაპზე; რეკომენდებულია სტუდენტებისათვის ასარჩევი პრობლემების პროექტების სტანდარტიზირება;
5. რეკომენდებულია მეტად სტანდარტიზებული შეფასების კომპონენტების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა იყოს ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები; ასევე დასწრების კომპონენტის მაქსიმალურად შემცირება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტის მიღწევების შეფასების სარწმუნოებას;
6. მოხდეს ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების პერიოდში. განახლდეს მოძველებული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. განსახილველი პროგრამის უნიკალურობისა და განსაკუთრებულობის შესახებ მან განაცხადა, რომ ის ერთადერთია საქართველოში, ხასიათდება ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით, შექმნილია საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში და ეყრდნობა მრავალ საერთაშორისო რეგულაციას/სტანდარტს.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სახელმძღვანელოების გაციფრულებას, მან განაცხადა, რომ პანდემიის პირობებში ამ მიმართულებით ძალიან ინტენსიურად მუშაობენ, ეს პროცესი დაწყებულია და აუცილებელი გახდება ყველა რესურსის გაციფრულება, რათა ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს. უნივერსიტეტში დისტანციური სწავლებისას ინტენსიურად მუშაობს Moodle-ს პლატფორმა, სადაც ხელმისაწვდომია ყველა ძირითადი ლიტერატურა სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან დისტანციურ პროცესებში.

დასწრების კომპონენტის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დივერსიფიცირებულია აღნიშნული მიდგომა და დასწრების კომპონენტი გამოყენებულია იმ კურსებში, რომლებიც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ელემენტებს შეიცავს.

მისი მოსაზრებით, პროგრამა ნამდვილად უნიკალურია. სიტყვის დასასრულს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისათვის. მისი თქმით დაწესებულებისთვის გასაგებია, რომ ახალი პროგრამა/დარგია და შესაბამისად მისი გაუმჯობესება მნიშვნელოვანია,

თუმცა დაწესებულება ზოგიერთ რეკომენდაციას ნაწილობრივ/სრულად ეთანხმება, ზოგიერთ მათგანზე კი დაწესებულებას აქვს თავისი ხედვა, რომლის წარსადგენად, მან სიტყვა პროგრამის ხელმძღვანელს, ნინო რუხაძეს გადასცა.

პრაქტიკის კომპონენტების სტანდარტიზებასთან დაკავშირებით დეკანმა განმარტა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ჯობია შეფასების კომპონენტში იყოს თანაბრად და სწორად, რათა ობიექტურად და ადეკვატურად იყვნენ შეფასებულები. პორტფოლიოში თემების სტანდარტიზებასთან/თემების სტანდარტულად მიწოდებისა და დამუშავების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ავტონომიის მხარე არის ძალიან მნიშვნელოვანი, მითუმეტეს პრაქტიკულ სფეროში და ფაქტი, რომ სტუდენტი თვითონ ირჩევს საჭიროებას, თვითონ ეძებს საჭიროებას თემში, რომელიც არის ძალიან მრავალფეროვანი, ეს არ არის მხოლოდ სამედიცინო სფერო, შესაძლებელია იყოს განათლების ან საზოგადოებრივი სფეროები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტმა დაინახა საჭიროება კვლევის/თავისი შეფასების ობიექტად არჩია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ყურადღება გაემახვილებინათ იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც არ იზიარებდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნინო რუხაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს რჩევებს, რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი სურთ განმარტონ არსებული ვითარება.

დაწესებულება აბსოლუტურად იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას - სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზო კურსის განსაზღვრა - პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ცალკე საგნის ნაცვლად, 4 წელში დაწესებულება ამზადებს პრაქტიკოს ადამიანებს, რომლებიც არ არიან ექიმები, რადგან ეს განსხვავებული დარგია, თუმცა რაც სტუდენტებს მოეთხოვებათ იმ პრაქტიკის განხორციელება უნდა შეეძლოთ, ამიტომ დაწესებულება ცდილობს დაშვების წინაპირობებში, რაც საჭიროა ჩაშენებული იყოს პროფესიულ/სავალდებულო კურსებში, მაგ., ბიომექანიკა ჩადებულია, როგორც სამუშაო ჩარჩო საგანში „ოკუპაციური თერაპია ბავშვებთან“, სადაც ისწავლება რამდენიმე სამუშაო ჩარჩო, ნეიროგანვითარების, სენსორული ინტეგრაციისა და ბიომექანიკის, ასევე ისწავლება „კინეზიოლოგია“, რომელიც სავალდებულო საგანია და სხეულის ბიომექანიკური პრინციპები/როგორ მუშაობს სხეული ამას ფლობენ და მომზადებულები არიან მოგვიანებით ორთოპედიული კურსებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას არჩევით საგნებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ ჩამოთვლილი საგნები მომხიბვლელი და საყვარელი საგნებია სტუდენტებისთვის, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით სასწავლო გეგმა ისეა ორგანიზებული, რომ თითოეულ სემესტრს თავისი ქუდი და ძირითადი თემა აქვს, სავალდებულო საგნებს ეხმიანება არჩევითი საგნები, რომლებიც წინა/უკვე აკრედიტებულ პროგრამაზე (პროგრამა გადის რეაკრედიტაციას) ძალიან ცოტა ჰქონდათ და მიიჩნიეს, რომ არჩევითი საგნებით ხელს შეუწყობენ სტუდენტების ავტონომიას, ცნობიერად/ინდივიდუალურად მათი ინტერესის შესაბამისად შეარჩიონ საგნები და დასაქმების სფეროსკენ წავიდნენ, შესაბამისად დაწესებულების მიერ წარდგენილი არჩევითი საგნები ისეა შერჩეული, რომ ძირითადი სასწავლო შედეგები, რაზეც უნდა გავიდნენ სტუდენტები და ასევე მსხვილი თემები, ასახულია არჩევით საგნებში, ასევე, ეხმიანება სემესტრის ძირითად თემას, გარდა ამისა, მათი არჩევანი მისაღებია, რადგან რაც საჭიროა, რომ ისწავლონ, ეს ელემენტები ჩადებულია ყველა არჩევით საგანში, ამიტომ მეტნაკლებად ვერ აცდებიან იმას, რაც მოეთხოვებათ დარგის კომპეტენციებად, რაზეც ფაქტობრივად, როგორც ხერხემალზე, ისეა აწყობილი პროგრამა.

რაც შეეხება ისეთი საგნების შექმნას და პროგრამისთვის დამატებას, როგორებიცაა „რეაბილიტაცია“, „პირველადი დახმარება“, პროგრამის ხელმძღვანელმა მიმოიხილა, როგორ ააწევს პროგრამა უცხოელ ექსპერტებთან ერთად, რაც ასევე, ეფუძნება Tuning-ის დისკრიპტორებს. ოკუპაციურ თერაპიაში საბაკალავრო პროგრამისთვის შექმნილია 35 დისკრიპტორი, რომელიც მთელი ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებმა ერთად შექმნეს და ჩამოყალიბებულია, როგორც ის ძირითადი კომპეტენციები, რომელიც ბაკალავრიატ დამთავრებულს უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ქვეყანაში, შესაბამისად იმ ფორმულირების მიხედვით არის აწყობილი და კურსებად ჩაშლილი აღნიშნული პროგრამა, აქედან გამომდინარე ამ საკითხებს, რაც შეეხება რეაბილიტაციას, ეს პრინციპები ძირითადად დაფარულია „ოკუპაციური თერაპიის“ საგნებში: რეაბილიტაციის ფილოსოფია, პროცესის დინამიკა, ძირითადი პრინციპები, ყველაფერი ჩაშენებულია, ძირითადი ოკუპაციური თერაპიის საგნებში, როგორ მუშაობენ ბავშვებთან, დიდებთან, ფსიქიკურ ჯანმრთელობაში, თემთან და საზოგადოებასთან, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ძალიან ეფექტურია, როდესაც სტუდენტი იმთავითვე თავის უშუალო პროფესიულ იდენტობასთან ჩაშენებულად სწავლობს აღნიშნულ საკითხებს და არა განყენებულ/მოწყვეტილად, ასევე, კრედიტების თვალსაზრისითაც უფრო ეკონომიურად უმკლავდებიან, ამიტომ რასაც დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან, მათ არ აქვთ გამორჩენილი არცერთი ის კომპეტენცია, რაც მოეთხოვება ბაკალავრ ოკუპაციურ თერაპევტს, აქედან გამომდინარე პროგრამის ხელმძღვანელი არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რომ ზემოაღნიშნული კურსების დამატება საჭიროა, რადგან თანამედროვეობაში, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციური თერაპია დაიბადა ჯანმრთელობის დამხმარე პროფესიად, სამედიცინო სფეროში, თუმცა მისი განვითარების ბოლო პარადიგმები მეცნიერების თვალსაზრისით ცალსახად სოციალური მეცნიერებებისკენ მიდის და პრაქტიკაც ფართოვდება და სცდება ჯანდაცვის დაწესებულებებს, ოკუპაციური თერაპევტების დასაქმება მნიშვნელოვანია განათლებაში, ასევე, მუშაობენ საზოგადოებასთან, აქედან გამომდინარე მეტად დატვირთვა ისეთი საგნებით, რომელიც განიხილება, როგორც სამედიცინო საგნები, არ არის მართებული, დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაეცვათ ბალანსი და ცალ მხარეს არ გადაეწონათ, რათა ასახული ყოფილიყო თანამედროვე მიდგომები და გაყოლოდნენ პროფესიის განვითარების ეტაპს.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას პორტფოლიოსთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პორტფოლიო ისწავლებოდა პირველ სემესტრში, ამ ეტაპზე გადატანილია მეორე სემესტრში, თუმცა ისევ პირველ კურსზე ისწავლება. აღნიშნულ საგანში სტუდენტები სწავლობენ როგორ უნდა დაასაბუთონ საკუთარი კომპეტენცია იმ არტეფაქტების დახმარებით, რომლებსაც დავალებების/ნაშრომების სახით ქმნიან, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ სტუდენტები პირველ სემესტრში დააგროვებდნენ გარკვეულ მასალას, მიიღებდნენ თვისობრივ/რაოდენობრივ შეფასებებს და ექნებოდათ მასალა მათი შედეგების გასაანალიზებლად, თვითრეფლექსია უფრო ადვილად განხორციელდებოდა, ვიდრე წარმოსახვით, თეორიულ, ან მხოლოდ სასკოლო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დასაწყისშივეა, შემდეგ გრძელდება მეორე კურსზე და სულ ბოლოს, პორტფოლიო არის მომზადება დაცვისთვის, რადგან საბოლოოდ „პორტფოლიოს მომზადება დაცვისთვის“ გულისხმობს, რომ მთელი ის კონკრეტული „ქეისები“ რასთანაც სტუდენტმა იმუშავა პრაქტიკის განმავლობაში თავმოყრილია საბოლოო, მერვე სემესტრში, პორტფოლიოს საგანში, ახდენენ მოწესრიგებას და უყურებენ იმას, რომ სტუდენტი თვითონ ფარავდეს კომპეტენციების ბადეს და ალაგებდეს „ქეისებს“, ყველა კომპეტენციაზე რა დონეზე გავიდა და რამე ხომ არ გამორჩა, სწორედ ამაში ეხმარება ლექტორი, რათა გამოცდაზე დაიცვას თავისი პრაქტიკის „ქეისები“ და წარადგინოს ის 25 „ქეისი“, რომლებიც უნდა ჰქონდეს გაკეთებული. დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ლოგიკურად არის ჩასმული და წლების გამოცდილება აჩვენებს ამას, რადგან ყველა პრაქტიკა ფაქტობრივად დამთავრებულია და

სტუდენტებს შეუძლიათ მოაწესრიგონ პორტფოლიო, გადახედონ და თუ რამეში ჩავარდნა აქვთ შეავსონ ბოლო სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას პროექტების სტანდარტიზებასთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არჩევითი პროექტები განზრახ აქვთ ჩადებული, რადგან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგია მათთვის არის გადამწყვეტი 2016 წლიდან, მითუმეტეს, როდესაც ქვეყანაში მცირე რაოდენობის ოკუპაციური თერაპევტია და ქვეყანას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, რომელიც შესაძლებელია ოკუპაციურმა თერაპევტმა გადაჭრას, დაწესებულების სურვილია კურსდამთავრებულებმა იცოდნენ, რომ 10 წლის მანძილზე ვერ დასაქმდებიან იქ, სადაც მათი პროფესიის წარმომადგენელი, როლური მოდელი დახვდებათ, რადგან ძალიან ცოტა ოკუპაციური თერაპევტია, ამიტომ, რასაც ოკუპაციური თერაპევტები ცხოვრებაში აწყდებიან იმ პრობლემებს დაეჯახონ, თუმცა ლექტორები/მენტორები მათ გვერდით არიან. მან განმარტა, რომ შეფასება სტანდარტიზებულია, რადგან ძალიან რთული პრობლემის სრულად გადაჭრას არ სთხოვენ, სთხოვენ მხოლოდ სტრატეგიული აზროვნებით მიდიოდნენ, ეძებდნენ გზებს/რესურსებს, დაინახონ პარტნიორები პრობლემის გადაჭრის დროს, დაწესებულება არ ცდილობს განზრახ მეტნაკლებად მსგავსი სირთულის პრობლემები ჩამოურიგონ, ან გაუცხრილონ, რადგან, როდესაც განიხილავენ ვინ რა პროექტს აკეთებს, რომელიც ფაქტობრივად მათი არჩევანია და ხდება ბოლო წელს, აქედან გამომდინარე ორიენტაცია არის დასაქმებისკენ, ირჩევენ იმ სფეროს, სადაც შემდეგ საქმდებიან, აღნიშნული პროცესების განხილვა ერთმანეთში, აძლიერებს სტუდენტებს, რადგან შესაძლებელია თვითონ არ შეჭიდებია გარკვეულ თემატიკას, თუმცა გამოცდილებას იღებს თანაკურსელისგან, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, რაშიც სტუდენტებიცა და ლექტორების გუნდიც ეხმარება, ურჩევნიათ იარონ რთულ გზაზე, შეფასების თვალსაზრისით ჰქონდეთ ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც სამართლიანია, მაგრამ ზოგიერთი სტუდენტი რთულ შემთხვევას ეჭიდება და მისი გამოცდილება შესაძლებელია იყოს რთული გზა, მაგრამ ეს ძალიან საჭიროა, რადგან პირველი თაობა არიან ოკუპაციურ თერაპიაში და საჭიროა ქვეყანაში დაინერგოს აღნიშნული დარგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის ძლიერი მხარეა, რომელიც მძლავრად არის წარმოდგენილი პროგრამაში და ფაქტობრივად ამიტომ მთელი ის მიდგომები, რომელსაც პროგრამა სწავლების/შეფასების ფორმატში ახორციელებს ამ პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ გაგოშიძემ ბიბლიოთეკაში არსებული რესურსის ციფრულ ფორმატში გადაყვანასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება აბსოლუტურად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულებამ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა და აციფრულებენ, რადგან სწავლება მიმდინარეობს ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ ელექტრონული სახელმძღვანელოები, დაწესებულება ერიდება მათ დადებას, ბევრ მათგანს აქვს „ქოფირაითი“, ამიტომ რაზეც დაწესებულებას აქვს „ქოფირაითი“ და ფაქტობრივად ყველა რიდერი გაციფრულების სტადიაშია. დაწესებულება გეგმავს აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო რუხაძემ დასძინა, რომ ასევე განაახლებენ წყაროს, რომელიც შედარებით მოძველებულია „ანატომიის“ სილაბუსში დაამატებენ უკანასკნელი 5 წლის ლიტერატურას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ როდესაც იხსენებოდა/შეიქმნა აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტში, მიწვეული იყო და უსმენდა მოსაზრებებს მასთან დაკავშირებით, ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი და ფიქრობდნენ, რომ საქართველოში ვერ მოხდება

ოკუპაციური თერაპიის დამკვიდრება, თუმცა დიდი ნაწილი იყო ოპტიმიზმით გამსჭვალული, რომელთაც საბჭოს წევრიც მიეკუთვნებოდა, რადგან მაშინ არ იყო პანდემია, თუმცა ამჟამინდელ სიტუაციაში ოკუპაციური თერაპევტები საჭირო იქნებიან, ასევე, პოსტ-კოვიდურ პერიოდში კიდევ უფრო მეტად, რადგან მედიცინის სფეროსგან განსხვავებით ოკუპაციური თერაპიის მისია უფრო პასუხობს კეთილდღეობის მიზანსა და მის უზრუნველყოფას. მისთვის სამწუხაროა, რომ მხოლოდ განსახილველი პროგრამაა და საქართველოში მეტი არაა.

მისი მოსაზრებით ერთადერთი პრობლემა იყო, რამდენად შეძლებდა დაწესებულება ახალგაზრდების დაინტერესებას, რათა დაუფლებოდნენ აღნიშნულ პროფესიას, რასთან დაკავშირებითაც აღინიშნა, რომ გვარდება აღნიშნული საკითხი. მან დასძინა, რომ ოკუპაციურ თერაპიაზე ძალიან დიდი მოთხოვნა იქნება პოსტ-კოვიდურ ეპოქაში, რადგან განსაკუთრებით ბავშვებში, დისტანციურ სწავლების გამო, თავი იჩინა ისეთმა პრობლემებმა, რომელიც საჭიროებს არა მარტო მედიცინის, არამედ ფსიქოლოგიურ და სხვა ტიპის დახმარებებს, რომლებსაც ოკუპაციური თერაპევტები ახორციელებენ. მან აღნიშნა, რომ ჰქონდა ბედნიერება აშშ-ში ენახა როგორ მუშაობენ ოკუპაციური თერაპევტები და ძალიან აღფრთოვანდა.

მისი თქმით არაფერი აქვს აღნიშნული პროგრამის საწინააღმდეგო, გარდა იმისა, რომ იქნებ პროფესიონალიზმის კომპონენტი გაძლიერდეს, რაც პრობლემაა მედიცინის პროგრამებისთვისაც, თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყო პროფესიონალიზმი, თავისი შეფასებებით, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი არის არა მხოლოდ სტუდენტის პორტფოლიო, არამედ ზოგადად პორტფოლიო, ფართო გაგებით, თუ ეს დამკვიდრდება.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით განსახილველმა პროგრამამ იპოვა თავისი ადგილი, როდესაც გადაიტანეს მედიცინის ფაკულტეტიდან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რადგან, როდესაც პირველი აკრედიტაციის დროს საბჭოს წევრი იყო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში და ახსოვს კითხვის ნიშნები, რომლებიც ფაკულტეტის ცვლილებამ მოხსნა, თუმცა ამავდროულად, მისი, როგორც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის გადმოსახედიდან, მოისმინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა მაინც გონია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გარკვეულწილად გასათვალისწინებელია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებაც იმავეს ფიქრობს, ნაწილი რეკომენდაციებისა გაიზიარეს, ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ გაიზიარეს, ასევე, არის საკითხები, რომლებიც პრინციპულია და პროგრამის შინაარსიდან/ხელწერიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაწესებულება არ დაეთანხმოს/გაიზიაროს, თუმცა საბოლოო ჯამში, შეფასება ძალიან კარგია, რაც ექსპერტებმაც აღნიშნეს. თავის მხრივ კი, დაწესებულებაც მზადაა და შეიძლება ითქვას, რომ ნაყოფიერი სააკრედიტაციო პროცესი წარიმართა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:48

დასრულების დრო: 16:54

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების სრულყოფისათვის რეკომენდებულია სამედიცინო კურსებთან ინტეგრირებული მოდულების შემუშავება, შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება: რეაბილიტაცია; პირველადი დახმარება; ბიომექანიკა შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსების: ინკლუზიური განათლება; სენსორული საჭიროებების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა; ჯანმრთელობა, სოციალური ზრუნვა და კანონმდებლობა, გადატანა სავალდებულო კურსების ნუსხაში;
3. სასწავლო კურსების „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან“ და „ოკუპაციური თერაპია ორთოპედიული სირთულეების მქონე ზრდასრულებთან - პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად ბიომექანიკის საბაზისო კურსის განსაზღვრა;
4. რეკომენდებულია პორტფოლიოს წარმოების სწავლება პროგრამის ადრეულ ეტაპზე; რეკომენდებულია სტუდენტებისათვის ასარჩევი პრობლემების პროექტების სტანდარტიზირება;
5. რეკომენდებულია მეტად სტანდარტიზებული შეფასების კომპონენტების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა იყოს ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები; ასევე დასწრების კომპონენტის მაქსიმალურად შემცირება, რაც გააუმჯობესებს სტუდენტის მიღწევების შეფასების სარწმუნოებას;
6. მოხდეს ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რათა შესაძლებელი გახდეს ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების პერიოდში. განახლდეს მოძველებული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ოკუპაციური თერაპიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 23 სექტემბერი, №53
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №3, კორპუსი №2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 23 სექტემბერი, №55
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F- 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, კორპუსი №2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ირაკლი ბურდულმა და ირმა წერეთელმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან ჯაყელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ პირადი შეხვედრების ფორმატი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუმცა პანდემიის გათვალისწინებით ყველას მოუხდა გარემოებებთან შეგუება. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომლებმაც მასთან ერთად იმუშავეს დასკვნების მომზადებაზე და ყველა მიგნებული, გამოყენებული და შეფასებული საკითხი წარმოადგენს ჯგუფის მუშაობის შედეგს. ასევე, მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან იურიდიულმა ფაკულტეტმა შეძლო მათთვის სათანადო პირობების შექმნა, კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში მათ შეძლეს საერთო სურათის დანახვა.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ყველა სტანდარტი, როგორც ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის დროსაც გაიარეს დეტალურად, შეადარეს სტანდარტებს და მიიღეს სურათი, რომელსაც კონსოლიდირებული სახით წარადგენს. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 15-16 ოქტომბერს.

„სამართლის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

- პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

2.2. სტანდარტთან მიმართებაში - 5-ის ჯერადი მოდელით პროგრამის აგებასთან დაკავშირებით - ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან მიიღო განმარტება და მათი არგუმენტები გასათვალისწინებელია, თუმცა რეალურად, დამკვიდრებული პრაქტიკაა და ასე ხდება, შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა ის საკონტაქტო საათები, რომელიც აუდიტორიულ/დამოუკიდებელ დროში იყო და მათ შორის სხვაობა 12-დან, სულ რაღაც 16 საათია, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეს არ არის სტანდარტიდან გადახვევა, გარდა ამისა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იძლევა იმის გარანტიას, რომ თითოეულ საგანს კრედიტი მინიჭებული აქვს კომპეტენციის მქონე პირის სასწავლო კურსის შინაარსის მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა რჩევა, რომ აღნიშნული, ჩამოყალიბებული პრაქტიკა ფორმალიზებული/სათანადო სახით გაიწეროს რეგულაციებში, რომლებიც დაწესებულებას აქვს;

2.4. სტანდარტთან მიმართებაში - 2011 წელს პროგრამის პირველადი აკრედიტაციის დროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი იქნას სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ან აკადემიური წერის ელემენტები გათვალისწინებული იქნას სამართლის მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებულ სხვა სასწავლო კურსებში - ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი, შეადარეს „კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს“ დარგობრივ მახასიათებელს, სადაც დაპირისპირება/წინააღმდეგობა არ იკვეთება, გარდა ამისა, მოისმინეს დაწესებულების არგუმენტები, დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, ის რაც ასახულია პროგრამაში ინტეგრირებული სახით სხვადასხვა სასწავლო კურსებში, საკმარისია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სტანდარტებთან მიმართებაში მართლაც საკმარისია, მაგრამ რჩევის სახით გამოხატეს დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული გააძლიერებს და უკეთ წარმოაჩენს პროგრამას აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში;

2.5. სტანდარტთან მიმართებაში - ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამების შედგენის არსებული პრაქტიკის წესების სახით მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ყველა პროგრამა, რომელიც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ნახეს მაქსიმალურად ორიენტირებულია ინდივიდუალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე, ეს პროგრამაც სწორედ ამ პრინციპს ემყარება, რაც სტანდარტთან მიმართებას არ არღვევს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ გამოჩნდეს რეგულაციებშიც, რომ არსებობს ამის მეთოდური საფუძვლები, ფორმალური წინაპირობები, პროგრამა ამ პრინციპით არის აწყობილი და მაქსიმალურად უწყობს სტუდენტს ხელს თვითონ ააგოს თავისი პროგრამა, იმის მიხედვით გაიაროს/აითვისოს პროფესია, „სამართლის“ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე;

2.6. სტანდარტთან მიმართებაში - სტუდენტის შეფასების გასაჩივრების მექანიზმის გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მოისმინა, რომ უხდებათ კორპუსიდან კორპუსში გადასვლა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, ეს ტექნიკური საკითხი ადვილად მოსაწესრიგებელია, თუმცა ის რომ სისტემა მუშაობს, ასაჩივრებენ, ღებულობენ პასუხს და ა.შ. აქ პრეტენზია არ ყოფილა, სტუდენტების პატარ-პატარა მოთხოვნები გასათვალისწინებელია და ექსპერტთა ჯგუფმა თავი ვალდებულია ჩათვალოს, რომ აესახათ რჩევის სახით, ამასთანავე პირნათელი ყოფილიყვნენ სტუდენტებთან, რადგან მათი წარდგენილი საკითხები დაისვა საბჭოს/დაწესებულების წინაშე;

3.1. სტანდარტთან მიმართებაში - მიზანშეწონილია გამარტივდეს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში;

4.3. სტანდარტთან მიმართებაში - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან - რადგან გამოიკვეთა რომ სტუდენტებს სჭირდებათ დისტანციური წვდომა უნივერსიტეტის მიერ შეძენილ საკანონმდებლო მაცნეზე, დისტანციური ფორმატით და ეს მექანიზმი შეჯამებული სახით გამოჩნდეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული საუკეთესო პრაქტიკა:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სტუდენტებს აქვთ კარგი შესაძლებლობები, ხელმისაწვდომობა ინტერნაციონალიზაციაზე და პროგრამა/ფაკულტეტი ხელს უწყობს საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს ასეთ კვლევით პროექტებში ჩართულობას.

რაც შეეხება თანხვედრას, სტანდარტების 2.5, 3.1 და 4.3 გაცემული რჩევები მეორდება მაგისტრატურის საფეხურის შემთხვევაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

2.4. სტანდარტთან მიმართებაში - საქმე ეხება მემორანდუმებს, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც დარგობრივი მახასიათებლის ერთი მოთხოვნა, რომელიც მიუთითებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ადგილით, მითითებული არ არის სტუდენტთა რაოდენობა, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია - პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის სრულყოფა, კერძოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად სავალდებულო მოთხოვნაა, აღნიშნული ვალდებულება დადებული მემორანდუმების მიხედვით შემოიფარგლება მსურველი სტუდენტის შერჩევით და შესაბამისი სიის პარტნიორი ორგანიზაციისთვის გაგზავნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

2.3. სტანდარტთან მიმართებაში - შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის/თანაფარდობის დადგენაზე, განხილვასა და ანალიზის სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო კურსის შემუშავება და პროგრამაში გათვალისწინება ან პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტების აღნიშნული მიმართულებით გაძლიერება - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა განაცხადა, რომ აღმოაჩინა აღნიშნული ელემენტები და მისი მოსაზრებით კარგი იქნებოდა, თუ უფრო მკაფიო/ამკარა იქნება, რადგან სამართლებრივი სივრცე ორიენტირებულია სამართლებრივ ვალდებულებებზე, იმპლემენტირებულ ნორმებზე, შესაბამისად კარგი იქნება თუ სტუდენტებს გაძლიერებული სახით ექნებათ წვდომა და მეთოდოლოგიურად მზად იქნებიან ასეთ ფორმატში მუშაობისათვის;

2.6. სტანდარტთან მიმართებაში - სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მიზანშეწონილია შემფასებლის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ჰქონდათ საუბარი აღნიშნულ საკითხზე, სტანდარტის სრულად არის დაკმაყოფილებული, შეფასება გამჭვირავალეა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის გამოცდილებით/შეხედულებითა და სტუდენტებთან ინტერვიუს გზით მეტი სიცხადისთვის, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არ მიუთითა გარე თუ შიდა შემფასებელზე საუბრობენ.

სხდომის თავმჯდომარე ჩაეკითხა თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი შემფასებელში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ გულისხმობდნენ ნაშრომის რეცენზირებას, კომისიის გარდა ვინმემ სუსტ მხარეებზე რომ მიუთითოს სტუდენტს, რათა უფრო ცხადი გახდეს, დაექვემდებაროს რეცენზირებას. აღნიშნული საკითხი გაწერილია რჩევის სახით, მაგრამ სტუდენტებთან ინტერვიუს გზით, მათი მოთხოვნების მოსმენით ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა აღნიშნული რჩევა, რომელზეც დაწესებულება დაფიქრდება და თვითონ გადაწყვეტს ეს იქნება გარე თუ შიდა, მთლიანობაში რესურსები საკმარისია და ამის შესაძლებლობა აქვს დაწესებულებას და წაადგება აღნიშნულ პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ სხდომაზე უჩვეულო ფორმატი იყო, რადგან ზოგადად საბჭოს სხდომაზე არ განიხილავენ რჩევებს, ვინაიდან მათი გათვალისწინება დაწესებულების დისკრეციაა, ამიტომ დაწესებულების გადასაწყვეტია თუ რა მოცულობით გასცემენ პასუხს, რადგან მთავარი მბოჭავი რეკომენდაციებია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამები ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის განსაკუთრებულია, თავისი შედეგებით, სტუდენტებითა და აკადემიური პერსონალით, აღნიშნული პროგრამები მუდმივად ვითარდება, დაწესებულების წარმომადგენლები ხედავენ სტუდენტთა როგორი ნაკადი მიდის უნივერსიტეტში და როგორი კურსდამთავრებულები ჰყავთ ყოველწლიურად.

მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის, აღნიშნა, რომ დასკვნებში რეკომენდაციები არ არის წარდგენილი, შესაბამისად დაწესებულება ყველა რჩევაზე პასუხს არ გასცემს. მისი მოსაზრებით, ზოგიერთი რჩევა გასათვალისწინებელია, ზოგიერთი ამ პერიოდის განმავლობაში გაითვალისწინეს, ხოლო რაღაც ნაწილს შესაძლებელია დაწესებულება არ დაეთანხმოს, თუმცა შეფასების კარგი პრაქტიკა აქვს დაწესებულებას, განსახილველმა პროგრამებმა 2019 წელს უკვე მეორედ გაიარეს გარე შეფასება, რომელიც წარმართა ან-მარი კლებე-პელისიესმა, რომელიც დარგის ძალიან ცნობილი ექსპერტია, იგი აღფრთოვანდა, როგორც პროგრამის სტრუქტურით, ასევე მისი აკადემიური პერსონალითა და სტუდენტებით, მან ასევე, აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა არა, მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ევროპის მასშტაბით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სრულიად დარწმუნებული იყო პროგრამის წარმატებაში. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ყველა განვითარების რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.

ფაკულტეტის დეკანი, თამარ ზარანდია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის, რადგან პროგრამები შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტებთან. მისი თქმით სამაგისტრო საფეხურის პროგრამასთან დაკავშირებული ერთი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააჟღერა, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, რადგან დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნაა და დაწესებულება გაითვალისწინებს.

ფაკულტეტის შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს არის პირველი სამართლის სკოლა აკადემიური ტრადიციებით, ძლიერი აკადემიური გუნდით, რადგან აღნიშნულ პროგრამებზე საქმიანობენ პროფესორები, რომლებიც ქმნიან ქართულ იურისპუდენციას და დაწესებულებას აქვს კარგი საერთაშორისო კონტაქტები. ახორციელებენ ორ უცხოენოვან პროგრამას შპაიერისა და კელნის პროგრამის სახით და აქვთ, საერთაშორისო აკრედიტაციის გამოცდილება, ფაკულტეტის წარმომადგენლები ჩართულნი არიან აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესში და კარგად ესმით თუ რას ემსახურება მთლიანად პროცესი, დაწესებულებამ განახორციელა ორი განმავითარებელი შეფასება 2017-2019 წლებში და ამ შეფასების ფარგლებში ჩართული იყვნენ ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები, რომლებმაც შეაფასეს პროგრამები, აღნიშნული განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მითითებული რეკომენდაციები მთლიანად ასახეს პროგრამაში და განავითარეს ამ მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ მოუწევდათ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, შესაბამისად ამ მიმართულებით ძალიან ბევრი იშრომა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა გუნდმა, მათ განახორციელეს პროგრამების მოდიფიცირება, სადაც ასახეს განმავითარებელი შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უფრო მეტი დრო/ყურადღება დაუთმეს იურიდიულ სავალდებულო საბაზო გასაღებებს, რომლებიც მანამდეც ჰქონდათ პროგრამაში, გაიყო კონსტიტუციური სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო

სამართლის პროცესი და კიდევ რამდენიმე დისციპლინა, რომელიც უკვე შეთავაზებულია ორ სემესტრად. 2019 წელს ჩატარებული განმავითარებელი შეფასება განახორციელა ან-მარი კლებე-პელისიესმა, მან შეაფასა განხორციელებული ცვლილებები, აღნიშნულმა პროგრამებმა ძალიან კარგი შეფასება მიიღეს და ითქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი მაღალი დონის სამართლის სკოლა ევროპის მასშტაბით. დეკანმა განაცხადა, რომ აკრედიტაციისთვის მზადების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო.

მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს რჩევებისათვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ძალიან ბევრ რჩევასთან დაკავშირებით მანამდეც ჰქონდათ მსჯელობა, მაგ., 5 კრედიტიან საგნებთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ გარკვეული სტანდარტიზებული მიდგომა რეგულირებად პროფესიაში არის უფრო გამართლებული, რადგან საბჭოს წევრებისთვის ცნობილია, რომ იურიდიული ფაკულტეტი იყო პირველი, რომელმაც 2005 წლიდან დაიწყო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეთავაზება, მათ ასევე ჰქონდათ დივერსიფიცირებული კრედიტებით (3-4 კრედიტით) შეთავაზებული საგნები, თუმცა ფაკულტეტი წავიდა მათი სტანდარტიზების მიმართულებით და ეს არ იყო მხოლოდ იმით განპირობებული, რომ ასეთი საგნების შეთავაზება ტექნიკურად ან ორგანიზაციულად უფრო მარტივია. დაწესებულებას კარგად ესმის, რომ ბაკალავრიატის მიზანია, სტუდენტს მისცეს სამართლის ძირითადი/კონცეპტუალური ცოდნა, ამ შემთხვევაში გარდა სავალდებულო საგნებისა დაწესებულების წარმომადგენლები სიფრთხილით ეკიდებიან იმ არჩევით საგნებს, რომლებიც შეთავაზებულია ფაკულტეტის მიერ, ფაქტობრივად აქ იქმნება ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების სკოლა, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ რაც დარგის მიმართულებით შექმნიან ლიტერატურას, შეაჯამებენ დაგროვილ გამოცდილებას/პრაქტიკას, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება დისციპლინის შეთავაზება ფაკულტეტზე, რასაც აუცილებლად მთელი რიგი პროცედურები აქვს, რომელიც უნდა გაიაროს და ამის შემდეგ ხდება ეს. ამ ცვლილებების ფარგლებში გათავისუფლდნენ ბევრი ისეთ დისციპლინისგან, რომლებიც უფრო ხელოვნურად ეჩვენებოდათ, არ ეფუძნებოდა საკმარის ლიტერატურას/გამოცდილებას გარკვეული მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ყველა საგანი, რომელიც ასახულია პროგრამაში კრედიტების რაოდენობის მიხედვით რელევანტურია და ეს იყო მათი გააზრებული გადაწყვეტილება. ზოგადად, ახალი დისციპლინის შეთავაზება დიდ გზას გადის უნივერსიტეტში და აქედან გამომდინარე თუ არ არის შესაბამისი ლიტერატურა/გამოცდილება/პრაქტიკა ასეთ დისციპლინას არ სთავაზობენ, ამიტომ პროგრამაში გათვალისწინებული საგნები შესაბამისად არის დასაბუთებული.

დეკანმა აღნიშნა, რომ ყველა რჩევას არ გასცემდა პასუხს, რადგან ეს მხოლოდ არ არის, ერთადერთი რეკომენდაცია იყო გაცემული სამაგისტრო საფეხურზე დაწესებულების მიერ იქნება გათვალისწინებული. „აკადემიურ წერასთან“ დაკავშირებულ რჩევაზე მან განაცხადა, რომ აკადემიური წერა უფრო მეტად სკოლის საფეხურზე ისწავლება, მათ აქვთ სამართლებრივი წერის ელემენტები პროგრამის ფარგლებში ინტეგრირებული, მაგრამ რაც შეეხება „აკადემიურ წერას“ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ სხვა ფაკულტეტების მიერ შეთავაზებული „აკადემიური წერა“ აირჩიოს თავისუფალ კრედიტად, თუმცა მათი პროფესორების მიერ ყოველ სემესტრში ხდება „აკადემიური წერის“ შეთავაზება, ტრენინგის სახით, თუ სტუდენტს აქვს ამის საჭიროება ამ მიმართულებით სტუდენტს აქვს იმის შესაძლებლობაც, რომ დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესი. აღნიშნულ პროცესში ჩართულები არიან შემდეგი პროფესორები: ირინე ქურდაძე, დავით ბოსტოღანაშვილი, რომელმაც სალექციო კურსებიც კი ჩაწერა აკადემიურ წერასთან დაკავშირებით ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში.

მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტებს რჩევებისთვის, რომლებიც ამ შემთხვევაში მხოლოდ არ არის, მათთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში შეუძლია გასცეს პასუხი, თუმცა რეკომენდაციას, რომელიც გაცემული იყო სამაგისტრო საფეხურთან დაკავშირებით, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ შესაძლებელია საბჭოს წევრების მხრიდან არ იყოს აქტიურობა, რადგან სამართლის პროგრამაა, თუმცა მხოლოდ სამართალს არ ეხება, შესაძლებელია საბჭოს წევრებს კითხვები სხვადასხვა სტანდარტთან დაკავშირებით ჰქონდეთ. მან აღნიშნა, რომ 2011 წელს სტუდენტების პანელში ექსპერტთა კომისიამ გამოკითხა „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას, ცხრა წლის შემდეგ კი მას უწევს იგივე პროგრამის შეფასება. განმარტა, რომ არანაირი კითხვა არ აქვს, რადგან დეტალურად იცნობს პროგრამას, რომელიც გარკვეულწილად მოდელური პროგრამაა და ძალიან ბევრ უნივერსიტეტს აქვს აწყობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსგავსად, პროგრამის არქიტექტონიკა ხშირად მეორდება, მაგისტრატურის საფეხურზე მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუმცა გამოთქვა იმედი, რომ დარგობრივი მახასიათებლის გამო, უფრო განსხვავებული იქნება შემდეგი პროგრამები, რადგან არის საგნების ნაწილი, რომელსაც გარკვეული უნივერსიტეტები ვერ წაიკითხავენ, რასაც სჭირდება თავისი რესურსი და ზუსტი კოპირება არასდროს არის სწორი, რადგან ალება და გასწორება კარგია, რაც გარკვეულ პროგრამებთან მიმართებით გამოჩნდა, იყო არაჩვეულებრივი სილაბუსები, წამკითხველი რესურსი კი ფიზიკურად არ არსებობდა, არ შეესაბამებოდა კვალიფიკაციას, ან ისეთი რთული საგანი იყო, რომ ვერ დაძლეოდნენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:21

დასრულების დრო: 17:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. საქმე ეხება მემორანდუმებს, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც დარგობრივი მახასიათებლის ერთი მოთხოვნა, რომელიც მიუთითებს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ადგილით, მითითებული არ არის სტუდენტთა რაოდენობა, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია - პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის სრულყოფა, კერძოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად სავალდებულო მოთხოვნაა, აღნიშნული ვალდებულება დადებული მემორანდუმების მიხედვით შემოიფარგლება მსურველი სტუდენტის შერჩევით და შესაბამისი სიის პარტნიორი ორგანიზაციისთვის გაგზავნით;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2011 წლის 23 სექტემბერი, №57
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, კორპუსი №2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ირაკლი ბურდულმა და ირმა წერეთელმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ ძირითადი მიგნება არის მხოლოდ ერთი, რომელშიც გაცემულია რჩევა, დანარჩენ ნაწილში პროგრამა შეფასდა დადებითად. ექსპერტთა ჯგუფი ინტერესით გაეცნო აღნიშნულ პროგრამას, რადგან ბაზარზე ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის სფეროში სადოქტორო პროგრამები, მათ ჰქონდათ თავისი ხედვა, მოლოდინები, რადგან დიდი შემოქმედებითობის ადგილია სადოქტორო საფეხურზე და არ არის შებოჭილი დარგობრივი მახასიათებლით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის საინტერესო იყო როგორ წარმოაჩენდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას. უნივერსიტეტი ფაქტია, რომ წამყვანია და მოლოდინებს გადააჭარბა, სრულ შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურისთვის განსაზღვრულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, „კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან“, პროგრამას აქვს შინაარსობრივად საინტერესო კომპონენტები ფორმატისა და მეთოდების თვალსაზრისით. მან აღნიშნა, ლიტერატურისა და რესურსების ხელმისაწვდომობა, ადამიანური რესურსების ფაქტორი, ზოგადად მატერიალური რესურსის თვალსაზრისით საქართველოში თუ სადმე უნდა არსებობდეს პროგრამა ეს ნამდვილად არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი იურიდიული ფაკულტეტი, არა მარტო ფორმალურად, ვიზიტამდე პროგრამის გაცნობისას, არამედ ვიზიტის ფარგლებშიც გახდა ცხადი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევა:

4.3. სტანდარტთან მიმართებაში - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნორმატიულ, კანონქვემდებარე აქტებთან მიმართებაში, კომფორტული გარემო შეექმნათ, თუმცა ცნობილია, რომ კანონმდებლობასთან წვდომის პრობლემა ზოგადად არ არსებობს, თუმცა დოქტორანტებისთვის უკეთესი იქნება ადგილზე იყოს წვდომა ყველაფერზე გააიგივეს სამივე პროგრამისთვის აღნიშნული რჩევა - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

მისი თქმით პროგრამამ გაიარა ძალიან დიდი გზა და ჩამოყალიბდა იმ სახით, რომლითაც პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტებიც, პილოტური შემოწმება/შეფასება გაიარა აღნიშნულმა პროგრამამაც გაიარა, პერსონალის ჩართულობა მაღალი იყო, რაც ინტერვიუს დროს დაინახეს ექსპერტებმა. ისინი ისურვებდნენ, რომ სხვა უნივერსიტეტებშიც ცხადად ყოფილიყვნენ ჩართულნი. მან დასძინა, რომ გამოიკვეთა ბევრი რამ, რაც უფრო მეტად აქვთ დაცული, მაგ., ინგლისური ენის მოთხოვნები, რაც ძალიან კარგია და არაფერს ვნებს, პირიქით მაღალ თამასას აწესებს/ნერგავს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, მთლიანად საქართველოში, რაც მისასალმებელია. დაწესებულებას წინა აკრედიტაციის ყველა რეკომენდაცია სრულად ჰქონდა გათვალისწინებული, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც ადასტურებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანმა, თამარ ზარანდიამ მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასების ფარგლებში

უცხოელი ექსპერტების მიერ ორჯერ შეფასდა სადოქტორო პროგრამაც, მანაც იგივე გზა გაიარა, რაც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა. აკრედიტაციის ექსპერტების მიერ დადგინდა სრული შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან, ასევე ითქვა, რომ პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის გუნდით, პროგრამის მახასიათებლებიც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

რჩევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საკანონმდებლო აქტები ხელმისაწვდომია და სასწავლო პროცესში ძირითადად ეს გამოიყენება, თუმცა რჩევას, რომელიც გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულება გაითვალისწინებს, მათ აქვთ მაცნეზე წვდომა და შესაძლებელია დამატებით შეიძინონ რამდენიმე ანგარიში, რათა შეიქმნას კომფორტი აღნიშნული მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე ამის საჭიროება არ გამოკვეთილა და რაზეც აქვთ სტუდენტებს წვდომა, სრულიად საკმარისია.

სხდომის თავმჯდომარემ დაზუსტა თუ აქვთ დოქტორანტებს პერსონალური ანგარიშები?

დეკანმა დაადასტურა, რომ აქვთ და სწორედ ამიტომ ის, რაც არის ბიბლიოთეკაში საკმარისია, თუმცა დაწესებულება აუცილებლად დაფიქრდება აღნიშნულ რჩევაზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაშიც არჩევითი საგნები მცირდება, რასაც არა მარტო სამართლის, არამედ სხვა სადოქტორო პროგრამებშიც მიზამავენ და გაიაზრებენ, რომ არ არის საჭირო 10-12 საგანი სადოქტორო საფეხურზე და ყველაფერი უნდა ემსახურობდეს კვლევითი უნარების გამომუშავება/განვითარებას, არ არის საჭირო სამართლის პრობლემების სწავლება, რასაც დოქტორანტი ისედაც აკეთებს/ახორცილებს სადოქტორო კვლევის ფარგლებში, ამიტომ მისთვის მისაღებია მხოლოდ ორი არჩევითი საგნის არსებობა, ასევე შესაძლებელია საერთოდ არ ჰქონდეთ, თუმცა ეს ძალიან ორატორული იქნებოდა და შეიძლება ვინმემ ცუდად გადაიღოს.

მან გააჟღერა რჩევა, რომელსაც ყველა სადოქტორო პროგრამას აძლევენ საბჭოს ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე საგანში ლიტერატურა, განსაკუთრებით მეთოდებთან დაკავშირებით, ჩანაცვლდეს შესაბამისი საფეხურის ლიტერატურით, მაგ., „აკადემიური წერა დამწყებთათვის“, ეს და რამდენიმე სხვა ლიტერატურა არის უფრო მეტად ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი, ვიდრე სადოქტორო საფეხურის, რაც ფილოლოგებისა და საბჭოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ნაწილის დადგენილი პრაქტიკაა. დასძინა, რომ არ არის განსაკუთრებული რჩევა, უბრალოდ დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რადგან ბუნებრივი მოვლენაა, სილაბუსებში არსებული ლიტერატურა ყოველდღიურად ვითარდება და იხვეწება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ შეამჩნია ტექნიკური საკითხი, რომ მისაღები გამოცდის ინგლისური ენის ტესტი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე, ერთიდაიგივეა და დაინტერესდა ასეა, თუ ტექნიკური ხარვეზია?

დეკანმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ სტუდენტები დოქტორანტურის აბარებენ B2 დონის ტესტს, მაგრამ არის სპეციალური/სხვა ტესტი დოქტორანტურის საფეხურისთვის, თუმცა ესეც B2 დონის ტესტია.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ თუ მან სწორად ნახა მაგისტრატურის ტესტი დევს და შესაძლებელია ჩასასწორებელი იყოს.

დეკანმა დაადასტურა, რომ შესაძლებელია იყოს ტექნიკური ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მაგისტრატურაზეც B2 დონის ტესტი ბარდება და შესაძლებელია ამიტომ საერთოა.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ შესაძლებელია საერთოა, მაგისტრატურის ჰქვია, მაგრამ მას აინტერესებდა არის თუ არა იგივე გამოცდა.

დეკანმა დაადასტურა, რომ B2 დონის ტესტის ჩაბარება საკმარისია დოქტორანტურისათვის.

ასოცირებულმა პროფესორმა, დავით ბოსტოლანაშვილმა განმარტა, რომ ატვირთულია სანიმუშო ტესტი და ამის გამო დევს ორივეგან ერთი ტესტი, რეალურად კი ტესტები განსხვავდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ დასძინა, რომ უცხო ენის გამოცდას ატარებს ენების ცენტრი და შესაბამისად ტარდება არა მხოლოდ „სამართლის“ სადოქტორო პროგრამისთვის, არამედ ტარდება ყველა დოქტორანტისთვის, რომელიც შედის უნივერსიტეტში არსებულ 50 სადოქტორო პროგრამაზე, ეს არის B2 დონის სტანდარტიზებული ტესტი.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, ირაკლი ბურდულს, რომ ასეთი სტრუქტურა მისთვის მაგისტრატურის საფეხურთან ასოცირდება, როდესაც ბევრი საგანია სადოქტორო პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსია „პროფესორის ასისტენტობა“ და არჩევითია „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, მაგ., მედიცინაში 2 წელში ერთხელ უნდა გაიაროს სამედიცინო სწავლების მეთოდები, ანუ სწავლების მეთოდები მუდმივად იხვეწება. დაინტერესდა, რითია გამოწვეული, რომ არჩევით კურსებში ჩასვეს „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და სავალდებულოში „პროფესორის ასისტენტობა“. მოიყვანა მაგალითი, რომ შესაძლებელია აქვს პედაგოგიური გამოცდილება და არ სჭირდება „პროფესორის ასისტენტობის“ გავლა, მაგრამ სასწავლო კურსი სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით უფრო საინტერესო იქნებოდა მისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ ამ ყველაფერს თავისი ისტორია აქვს, რის შესახებაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ისაუბრებდნენ. მან დასძინა, რომ ეს არის უნივერსიტეტის მინიმალური სტანდარტი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ მაღლობა გადაუხადა საბჭოს წევრს დასმული შეკითხვისათვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებმა, განსაკუთრებით მათ, რომლებიც წარდგენილია რეაგრედიტაციაზე, განიცადეს მთელი რიგი ცვლილებები, მაქსიმალურად შემცირდა სასწავლო კომპონენტის მოცულობა, „ჩარჩოსთან შესაბამისობაში“ და ყველა იმ უცხოელი ექსპერტის მოსაზრების გათვალისწინებით, რომლებთანაც დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს შიდა თუ გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. სწავლების მეთოდების ნაწილი არის სწავლების კომპონენტის, როგორც უმაღლესი სკოლის მასწავლებლის მომზადების ნაწილი სადოქტორო პროგრამებში, რომელიც დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა პროგრამაში, თუმცა სადოქტორო მინიმალურმა სტანდარტმა, რომელიც საუნივერსიტეტოა, გაითვალისწინა ის მინიმალური კომპეტენციები/შედეგები/კურსები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი სადოქტორო პროგრამა უნივერსიტეტში. სავალდებულოდ ჩამოყალიბდა რამდენიმე კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“, „სემინარი“ და „პროფესორის ასისტენტობა“, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტი ეუფლება იმ უნარ-ჩვევებს და გადის იმ შედეგებზე, რომლებიც უმაღლესი სკოლის მასწავლებლისთვის/პროფესორისთვის არის საჭირო. დაწესებულებას შეუძლია აღნიშნული კომპონენტის გაძლიერება, სწორედ „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ კურსით, თუმცა აღნიშნული კურსი არ დაამატეს პროგრამებს სავალდებულოდ და მიიჩნიეს, რომ ერთი კომპონენტის არსებობა გადის იმ შედეგზე, რომელიც მისაღებია ყველა სადოქტორო პროგრამისთვის, თუმცა შემდეგ პროგრამის გადასაწყვეტია, სჭირდება თუ არა დამატებით, კომპონენტების გაძლიერება. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს არის ძალიან კარგი გამოცდილება აღნიშნული პროგრამისთვის, როდესაც არჩევით კურსში გაიტანეს სწავლების მეთოდების ნაწილი, სწორედ იმიტომ, რომ ასისტენტობის დროს სტუდენტი არ არის დამოუკიდებლად სხვა სტუდენტებთან, ის პროფესორთან ერთად აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში და ყველა ის სწავლების მეთოდი, რომელიც აქტიურია და არის მნიშვნელოვანი მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის შედეგზე ის აუცილებლად გადის.

მეორე კურსთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ამის წაყვანის რესურსი და ნებისმიერი პროგრამა წყვეტს როგორ იქნება უკეთესი, არჩევით სასწავლო

კურსებში თუ სავალდებულო კურსებში, თუმცა მინიმალური სტანდარტით განისაზღვრა, ყველამ იმსჯელა და გადაწყვიტეს, რომ ასისტენტობა ბევრად უფრო უპრიანია დოქტორანტებისათვის, ვიდრე კურსის ჩასმა სავალდებულოდ, შემდეგ ეს პროგრამის გადასაწყვეტია, თუმცა დაწესებულება მიესალმება რაც შეიძლება მცირე რაოდენობის სასწავლო კომპონენტის არსებობას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, გიორგი მახარობლიშვილმა სადოქტორო პროგრამასთან და ზემოაღნიშნულ არჩევით კურსთან დაკავშირებით აღნიშნა მცირე ელემენტი, საბჭოს გაახსენა სხდომის თავმჯდომარის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ სასურველია ნაკლები არჩევითობა იყოს და დაწესებულებამ განსახილველი სადოქტორო პროგრამის მიმართ გაითვალისწინა აღნიშნული კომპონენტი, რაშიც იგულისხმება, რომ სადოქტორო პროგრამაში არჩევითია ორი საგანი „აკადემიური წერა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, მაგრამ პროგრამაში არის დათქმა, რომლის თანახმადაც „აკადემიური წერის“ სწავლა არ არის აუცილებელი იმ სტუდენტისათვის, რომელსაც აღნიშნული საგანი უკვე გავლილი აქვს მაგისტრატურის საფეხურზე, რადგან მაგისტრატურის საფეხურზე სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობაა „აკადემიური წერა“, ამ ლოგიკით, დოქტორანტი მეორედ არ გაივლის „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსს და გასავლელი რჩება მხოლოდ „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, რითაც რეალურად შეავსებს თავის ცოდნას ამ კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მასაც იგივე კითხვა გაუჩნდებოდა, რადგან თვითონაც აქტიურად მუშაობს სადოქტორო მიმართულებით, იკვლევს სივრცეებს, ერთი მომენტი, რომ „პროფესორის ასისტენტობა“ კლასიკური გაგებით/სილაბუსის მიხედვით ორ მესამედზე მეტი კლასიკური ასისტენტობაა, ანუ ლექციის ჩატარება და სტუდენტთან ურთიერთობა უფრო ალბათ მხოლოდ ერთი მესამედიამ ამ კომპონენტის და შეფასების კომპონენტიდან გამომდინარე არის სხვადასხვა მოდელური ლექცია, დავალების შესრულება და ა.შ. უფრო კომპლექსურია და სწავლების მეთოდები უფრო კონკრეტულად, თუმცა რეალურად „აკადემიური წერა“ ვისაც აქვს გავლილი თუ ავტომატურად უწევს „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ გავლა ამით ბალანსდება. სხდომის თავმჯდომარე არ ეთანხმება დაწესებულებას, რომ „აკადემიური წერა“ არ უნდა გაიაროს დოქტორანტმა, რადგან, სამწუხაროდ, მაგისტრატურა/დოქტორანტურის დონე ხშირად აჩვენებს ძალიან დაბალი აკადემიური უნარების მქონე დოქტორანტს. მისთვის გასაგებია, რომ შესაძლებელია დუბლირება გამოიწვიოს, თუმცა მისი პირადი სურვილია, რაც მეტს ისწავლიან წერის ტექნიკას უკეთესია.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ თვითშეფასების მეოთხე ნაწილთან (ტექნიკურ ბაზასთან) დაკავშირებით განაცხადა, რომ უცნაურად მოეჩვენა, რადგან ძლიერ მხარეებში დაწესებულებას უწერია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მეორე მხრივ, შემდგომი დახვეწა გასაუმჯობესებელ მხარეებშია აღწერილი, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ რა შეიძლება დასჭირდეს „სამართლის“ დოქტორანტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან, რაც არ აქვს და ფაკულტეტის ბიუჯეტის ხვედრითი წილის გაზრდა ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი გასაუმჯობესებელ მხარეებში, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა იგეგმება ამ მხრივ პროგრამის თვალსაზრისით?

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ თვითშეფასება და სააკრედიტაციო პროცესისთვის მზადება ხანგრძლივი პროცესია, თუმცა სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიღების შემდეგ დაწესებულება გადავიდა „ფორს-მაჟორში“ და მაგ., წინა პროგრამასთან დაკავშირებით, სადაც მემორანდუმებში რიცხვის/ციფრის ასახვაზე იყო საუბარი, ტექნიკურად ვერ მოესწრებოდა იმ ორი თვის განმავლობაში, რომელიც ჰქონდა დაწესებულებას პროგრამების აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებლად, თვითშეფასების ანგარიშის ამ ნაწილში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ბოლო ორი წელია მიმდინარეობს მეორე კორპუსის რემონტი, შესაბამისად მოუხდათ გადაადგილება/სხვადასხვა

კორპუსში გადანაწილება, ძირითადად პირველ და მაღლივ კორპუსებში, რაც შეეხება იმ საკითხს, რა შეიძლება დოქტორანტს დასჭირდეს, იგულისხმება სამომავლო განვითარების ისეთი მიდგომა, რომელიც, მაგ., შეიძლება იყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელშიც არ იგულისხმება, რომ არ არის, იგულისხმება განვითარების პერსპექტივა.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხვედრითი წილის გაზრდასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რადგან სხვადასხვა პროგრამა, სხვადასხვა მატერიალური/შემოსავლების კუთხით მდგრადობით ხასიათდება, აქედან გამომდინარე სამართლის პროგრამები ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია, ნაკლები დანახარჯით და მეტი შემოსავლის გენერირებაა შესაძლებელი, შესაბამისად სამომავლოდ განსავითარებელ პერსპექტიულ ხედვაში არის მათი შემოსავლებიდან მთლიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში ხვედრითი წილის ზრდა, მეტი დაფინანსებისა და თუნდაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის, რადგან საუნივერსიტეტო ბიუჯეტირება ცენტრალური ადმინისტრირების დონეზე ხდება ფაკულტეტების ჩართულობით, მაგრამ ამ საუნივერსიტეტო პოლიტიკის პროცესში ცოტა მეტი გარჯა სჭირდებათ, რომ მათივე შეტანილი შემოსავლიდან უფრო მეტი ბიუჯეტირება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამის.

დეკანმა, თამარ ზარანდიამ მეორე კორპუსის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო ფართი გაზარდეს და დაგეგმილი ჰქონდათ კიდევ უფრო გაზრდა, დაწესებულებას ისედაც ჰქონდა გამოყოფილი ადგილი დოქტორანტებისათვის, მაგრამ ფიქრობდნენ ამ ფართის კიდევ უფრო განვითარებაზე და ბიბლიოთეკაში უკვე აქვთ ამის რესურსი.

ბიუჯეტთან დაკავშირებით, დეკანმა განმარტა, რომ აკადემიური გუნდის მეტი ფინანსური მხარდაჭერა აღნიშნული პროგრამისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ მხრივ, საბიუჯეტო დაფინანსების კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტმა მეტი შემოსავალი მიიღოს მის მიერ შემოტანილი თანხებიდან ცენტრალური საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:19

დასრულების დრო: 18:59

18:23 საბჭოს სხდომა დატოვა ირმა წერეთელმა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:


1. რამდენიმე საგანში ლიტერატურა, განსაკუთრებით მეთოდებთან დაკავშირებით, ჩანაცვლდეს შესაბამისი საფეხურის ლიტერატურით;
2. გადაიხედოს სასემინარო ნაშრომის სწავლის მიზნები/შედეგები დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტთან სრულად თავსებადობის მიზნით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 19:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

